გურამ ბათიაშვილი

# ,,ღმერთმან შეჰყარა ერთფერი“

## პიესა უანტრაქტოდ

მოქმედი პირნი:

ნოშრევან ჟორჟოლიანი--ხანმორეული კაცი

აბესალომ  გრიგოლია--40-45  წლის

კოტე  მექვაბიშვილი 60—65 წლის.

მოქმედების დრო--1945 წლის გაზაფხული,

ადგილი--სოფ. ლევილი, პარიზთან ახლოს.

სცენის ფარდაზე 1918-21 წლების დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ცნობილი დოკუმენტური კადრები გამოჩნდება. ვხედავთ, მათს მომღიმარე, თუ დაღვრემილ სახეებს, შეხვედრებს, სამხედრო აღლუმებს. ეს კადრები უმალ ჩაივლის და სცენაც ნათდება.

ნოშრევან ჟორჟოლიანი სამზარეულოში ტრიალებს. თუმცა, ისე მორთულა, იფიქრებთ, სადაცაა დიდ, საზოგადო შეკრებაზე უნდა გავიდესო. ეს მისი ყოველდღიურობაა: კარგად გაუთავებული შარვალი და შავი ფეხსაცმელები აცვია, თეთრ, ასევე საგულდაგულოდ დაუთოვებულ პერანგზე, გემოვნებით ნაქსოვი ჟაკეტი მოუცვამს.

დროდადრო მისი ფიქრი --ისიც კი ჩაგვესმის, რასაც გულში გაივლებს.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (სამზარეულოში კარადას ფრთხილად გამოაღებს, რასაც დაეძებს, ვერ იპოვის და უკმაყოფილო, ფრთხილადვე მიხურავს. მეორე კარადას გამოაღებს, სახეზევე დაეტყობა: იპოვა ის, რასაც ეძებდა--ტაფას) ეჰ, ანჟელა, ანჟელა! შენი ამგვარი საქციელით გინდა, ჩამაგონო, რომ ყველა არ უნდა იყოს თავისუფალი. ვერ დამარწმუნებ, უბრალოდ, გავიწყდება, რომ თავისუფლება პასუხისმგებლობაა... ათი საათიც მიილია, შენ კი ისევ არ ჩანხარ (გაზქურას მიადგება, ცდილობს მჭადი, რომელიც ცხვება, გადააბრუნოს. ცხელმა მჭადმა თითები დაწვა. საყვედურით). ანჟელა, ანჟელა! (მჭადს, გადააბრუნებს და შვებით ამოისუნთქავს. მაცივრიდან კვერცხებს გამოიღებს.) რომ გეშინოდეს, ხომ არ დააგვიანებდი! (ტაფაზე კვერცხის გატეხვას ლამობს. შეჩერდება, სივრცეს გასცქერის--როგორც ჩანს, სულ სხვა ფიქრი ეწვია.) ნეტავ, დილაობით რას მიირთმევს? ალბათ, უკრაინულ სალას და ასტრახანის ხიზილალას! სულ ხიზილალაზე და სალაზე გაზარდა მამამისმა--იმ გორელმა მეჩექმემ! ეეჰ, კეკე, კეკე, რას გვერჩოდი, ვინ გაზარდე ამნაირი, რა გაზარდე ამისთანა! (რაღაცას დაეძებს, ვერ პოულობს.) რას სად დადებს, სად შეინახავს, კაცი ვერ გაიგებს ! (კვლავ მაცივარს გამოაღებს) ყველს მაცივარში რა უნდა! (მაცივრიდან ყველს გამოიღებს, ჭრის, მერე ტაფაზე კვერცხებს დაახლის.) ესეც ასე! მჭადი? (მჭადს მიუტრიალდება.) ნეტავი, ცოცხალი რომ იყოს, მამამისს თუ დახვრეტდა? ( ზარის ხმა.

მიაყურადებს.) არა, ეს ანჟელა არ არის, ის უჟმური კაცი უნდა იყოს--მღებავი ( კარის გასაღებად მიემართება.) რა უცხვირ-პიროა, გვიან ღამემდე მუშაობდა, ისე წავიდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს,

*კარს აღებს. შემოდის კოტე მექვაბიშვილი. ტანსაცმელი სხვადასხვა ფერის საღებავეით მოთხვრია. საბავშვო ოთახისაკენ თავაუწევლად მიემართება.*

ნ ოშ რ ე ვ ნ ი. ბონჟურ, მუსიე!

კ ო ტ ე (არც მოხედავს). ბონჟურ! (ბავშვის ოთახში შედის).

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ( გაკვირვებული გააყოლებს მზერას და სამზარეულოს უბრუნდება, ყველს ჭრის). რა ჰქენი ეს კეკე, ჩვენდა ჭირად, ვინ გაზარდე! (ტაფიდან მჭადს ფრთხილად გადმოიტანს თეფშზე, გაზქურიდან ერბო-კვერცხის ტაფასაც გადმოდგამს.) აასეე! ( სუფრას მიუჯდება და თავის მიერ მომზადებულ საუზმეს სიამოვნებით გადახედავს. მჭადს წაეტანება, გადატეხავს. ყველის ერთ ნაჭერს აიღებს და ზარიც დაირეკება. მჭადსა და ყველს ადგილზე დააბრუნებს.) ახლა შენი მოსვლა, ჩემო ანჟელა, საკუჭნაოში გამოკეტილ ჩვენს კატას თუ გაეხარდება! (კარს აღებს).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ლამის შემოვარდება). ასე როგორ შეიძლება, თქვენ ამის უფლება არა გაქვთ! ( ნოშრევანი დაბნეული მიმოიხედავს.) კარი ისე გამიღეთ, არც გიკითხავთ, ვინ მესტუმრაო.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ანჟელა მეგონეთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ანჟელა? (მკერდზე ხელებს ისე მიიდებს, თითქოს ძუძუებს ისწორებდეს) დავიჯერო, ანჟელას ვგავარ? (მიმოიხედავს.) სიფრთხილეა საჭირო, ბატონო ნოშრევან, არ შეიძლება, კარი ყველას გაუღოთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ჩემთან ცუდი განზრახვით არავინ მოდის.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ნუ იტყვით მასე--თქვენნაირ ცნობილ კაცს, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ზოგჯერ ისეთი ვიგინდარა მტრობს... ხომ ხედავთ, რა ხდება ირგვლივ--რამდენი პოლიტიკური მკვლელობაა! (სასტუმრო ოთახში დაურიდებლად შეაბიჯებს, კარადაში წიგნებს

ათვალიერებს.) ოჰო, კაუცკის ,,მარქსის ეკონომიკური მოძღვრება“ ისევ კაუცკი, ეს რა არის?... ამ ნაშრომს არ ვიცნობ...არც გამიგია. ,,ისტორიული მატერიალიზმი“ (ნოშრევანს საყვედურით გადახედავს) პლეხანოვი ,,გორე ტიხომიროვუ...“

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ვინ ბრძანდებით, რა გნებავთ,!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (წიგნების კარადის თვალიერებას განაგრძობს). ოჰო, ეტო ინტერესნო...საინტერესოა...თუმცა, სხვაგვარად არც მოველოდი... უ ვას ტუტ ცელიი ბუკეტ მენშევიტსკოი გრიაზი...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (მიხვდება, ვინც ესტუმრა. კატეგორიულად). მე უარი შემოგითვალეთ... თქვენთან შეხვედრის სურვილი არ მაქვს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ბატონო ნოშრევან, თქვენი ბიოგრაფიის კაცმა კი უნდა იცოდეს, რომ ბოლშევიკებისათვის მთავარი მიზანია და არა მისი მიღწევის საშუალება.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (ცდილობს ნათქვამს ოფიციალური შეფერილობა მისცეს). ამხანაგო ბოლშევიკო, კიდევ ერთხელ გიცხადებთ: არა მხოლოდ საუბარი არ მსურს თქვენთან, დანახვა, ცქერაც არ მსიამოვნებს, გთხოვთ დამტოვოთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. უცხოეთში მოხვედრილი ქართველი რომ ქართველთან მივიდეს, გამოელაპარაკოს, მოიკითხოს, შეუძლებელია?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რას ამბობთ, ძალიან ბევრი! სამშობლო, ჩვენი კუთხე, მეზობლები, ნათესავები...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. გთხოვთ მიბრძანდეთ, არც მცალია!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი ( მშვიდად შესცქერის ნოშრევანს). მეტისმეტად ცხარობთ, (იქნებ, გაფრთხილების ინტონაციითაც.) კი უნდა იცოდეთ, რომ მტერს ყველგან ვწვდებით, ვერსად გვემალება--კარი ისე უბრალოდ გამიღეთ, თქვენთან ანგარიშის გასწორებას არაფერი უნდა!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აბესალომს ყურადღებით აკვირდება,) ამხანაგო გრიგოლ...გრიგოლავა, უკაცრავად, გრიგალაშვილო?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი აბესალომ ანდრიას-ძე  გრიგოლია.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი  (შეშფოთებული). ტერორის, მოწინააღმდეგეების ჩამოცილების დარგში?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. იდეოლოგიის დარგში!  რაღა დროს თქვენი წინააღმდეგობაა,  ეგ ოცი-ოცდახუთი  წლის წინათ იყო. დღეს ჩვენი ქვეყანა მეცხრე ცაზეა,  თქვენს პოზიციას, რაღა ფასი აქვს!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. კიდევ ერთხელ გთხოვთ, დამტოვოთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  არასოდეს  მსმენია, ქართველი კაცი სტუმარს სახლიდან აგდებდეს!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. თქვენ არა სტუმარი ,  ბოლშევიკი ხართ!

*საბავშვო ოთახიდან  კოტე გამოიხედავს, სტუმარს ყურადღებით ათვალიერებს, საუბარს აყურადებს.*

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ნათესავის მოსანახულებლად მოვედი და... საქართველოში რომ დავბრუნდები, ხომ მკითხავენ, თუ ნახეო, როგორ არისო....

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  არასოდეს, ბოლშევიკი  ნათესავი არასოდეს  მყოლია. თანაც  ცეკას პასუხისმგებელი  მუშაკი?!  არა!

კოტე ზიზღით *თავს გააქნევს.  საბავშვო ოთახში შებრუნდება.*

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ნათესავებს რა პასუხი გავცე, რა ვუთხრა--ნახვა მეწადა, კარს მიმდგარი,  შინ არ შემიშვა, ახლოს არ გამიკარა-თქო?

ნ ო შ  რ ე ვ ა ნ  ი.  რაც გეწადოთ, ის უთხარით! (კარს გამოაღებს.) გთხოვთ,  ქარი უბერავს, კარი უნდა  მივხურო.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (გაიღიმებს.) აი, კოპებშეკრული სულ დედათქვენს გევხართ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აფორიაქდება, როგორც ჩანს, ეს თვითონაც იცის). ეგ რა, ეგ საიდან მოიტანეთ, ვინ გითხრათ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თქმა რა საჭიროა, გიყურებთ და ის მიდგას თვალწინ. დედათქვენი, ხსოვნა  და არდავიწყება, ხომ  ახალი სოფლიდან  იყო (კარს თვითონ მიხურავს.) ანდრიკო  კი უნდა გახსოვდეთ! ( ნოშრევანის თანხმობას ელოდება, ის კი უხმოდ შესცქერის დაუპატიჟებელ სტუმარს.) მარცხენა თვალს ქვემოთ ხალი რომ ჰქონდა. არ გახსოვთ? ( ნოშრევანი უხმოდ დგას.) დედათქვენის  მამიდაშვილი...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. დისშვილი...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი  (გაიღიმებს). ჰო, უკეთ გხსომებიათ!

ნ ო  შ რ ე ვ ა ნ ი. მერე  რა... ეგ რას ნიშნავს?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი .  მაგ ანდრიკოს მეუღლე ხომ გახსოვთ--ძაბული! ანდრიკო საშოვარზე იყო წასული--ფოთში ინგლისელებს ემსახურებოდა გემზე.  სოფელში დაბრუნებულმა, შეიტყო,  ხვალ ძაბული  თხოვდება--მთელი სოფელი ქეიფისთვის ემზადებაო.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ჰო, რაღაც ... კი ... ვიზე თხოვდებოდა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  პავლუშა ღამბაშიძეზე.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  ეგ...ეგ ... ბრტყელ-ბრტყელი  ლაპარაკი უყვარდა, ძველ ქართულ სიტყვებს ყვარობდა, ვითომ მთავრობას ედგა კრიჭაში, მაგრამ ურიადნიკის ერთი ღიმილი,  ქვეყანას ერჩია.

ა ბ  ე ს ა ლ ო მ ი. გადასარევია--რა კარგად გახსოვთ! ანდრიკოს და ძაბულის  ადრევე ნაყვარებათ ერთმანეთი. სიყვარული კიდო, ხომ იცით, რაც არის!  ადგა თურმე  ეს თქვენი დეიდაშვილი ანდრიკო და სოფელს ქეიფი  ჩაუშალა--  იმავე  ღამეს ძაბული ნაბადში გაახვია,  ცხენი გამოაჭენა და არც დაუყოვნებიათ-- ფაცი-ფუცით, დაუყონებლივ შესდგომიან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკის--თქვენი მონა-მორჩილის ქვეყნად მოვლინების ფრიად სასურველ  საქმეს.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აბესალომს ყურადღებით შეათვალიერებს).  ნაჩქარევი საქმე ასეა--შეიძლება ბოლშევიკიც გამოგივიდეს!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (გულდაწყვეტილი). რა სიხარულით მოვდიოდი თქვენთან!..

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ჩემს ნათესაობაში ყველა წესიერი კაცი როდი იყო, მაგრამ ბოლშევიკი? საკმარისია, ამდენი დროც არ მაქვს. უკაცრავად ვარ...(კარს ისევ გამოაღებს).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. პისტი დეიდაზეც მინდოდა მეამბნა. მისი დაპატიმრების ამბავი არ გეცოდინებათ თქვენ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აფორიაქებული. კარს მიხურავს). დაპატიმრების?!

ა ბ ე ს ლ ო მ ი. არა მარტო დაპატიმრების, დიდი ქალობისაც!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რას ამბობთ, ეგ საიდან...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თქვენს დასთან--მაკრინესთან ერთად რომ ჩასვეს ქუთაისის ციხეში. ჰო, რა გაუტეხელი, ქალი იყო... ნამდვილი კოლხი!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (დაბნეული). გარდაცვალებამდე, ხომ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ღიმილი ერევა). გარდაცვლილს ხომ სამუდამო აქვს მისჯილი!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. (უხერხულობას გრძნობს). ხო, რას ვამბობ... დედაჩემი რატომ, რისთვის უნდა დაეპატიმრებინათ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ოცდაოთხში იმ თქვენი უჭკუო აჯანყების მერე, ჩვენმა უშიშროებამ ყველა ორგული და საეჭვო პირი დააპატიმრა. დედათქვენსა და თქვენს დას...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აწყვეტინებს). ქალებს დაერიეთ-- მეტი რა შეგიძლიათ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩვენ რაც შეგვიძლია, მაგ აჯანყებისას გაჩვენეთ! სახელმწიფოს დაცვა უნდა, ბატონო ნოშრევან, მტერი რომ შემოგიტევს, ცხვირ-პირი უნდა ამტვრიო, ისე დალეწო, ამხედრების სურვილი სამუდამოდ დაკარგოს. ცხოვრების კანონია ეს!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (მოუთმენლად). დედა და მაკრინე რა შუაში იყვნენ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შუაში ისინი კი არა, თქვენ იყავით! მაგიტომაც არ მოისვენა სერგო ქავთარაძემ, ქვეყანა ააწრიალა, თავი გვეჭრება ბოლშევიკებს-- პოლიტიკური მოღვაწის--ნოშრევან ჟორჟოლიანის დედას და დას ციხეში რა უნდათო.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ბოლშევიკობა რა მაგის საქმეა, კაცი იყო და კაცად დარჩა!

ა ბ ე ს ა ლ ომ ი. იყო. იყო და მორჩა!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. როგორ, სერგოც გაიმეტეთ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არ მოიშალა მეტიჩრობა --უკლონისტი გახდა (იცინის.) ახლა თეთრ დათვებს გაუმრუდოს გზა-სავალი. პარტია კი წინ, სულ წინ ივლის.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ეგ ხომ თქვენი ბელადის მეგობარია!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩვენი ბელადი სამართლიანობის მეგობარია!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ეგ მამასაც დახვრეტდა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თუ საბჭოთა სამართალს ხელჰყოფდა, არ უნდა დაეხვრიტა?!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ( შეძრწუნებული შეჰყურებს აბესალომს, ამოიოხრებს). დედაჩემი? დედა და მაკრინე ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჰო, სერგო ქავთარაძე... ეუბნებოდნენ, ეგ ჩვენი დაუძინებელი მტრის დედა არის, იმისი ბუდე უნდა მოვშალოთო, არავის არ შეეპუა. მიაღწია კიდეც თავისას: ერთ დღეს ქუთაისის ციხეს ისე მიადგა, კაცი იფიქრებდა, პაემანზე მიდისო--ყვავილებით და შოკოლადებით. დედათქვენი და მაკრინე ციხიდან ,,პოდრუშკით“ გამოიყვანა, პისტის ხელზე ემთხვია, ორივე ფაეტონში ჩაისვა და სოფელში ჩაიყვანა.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (ემოციამ სძლია). სერიოჟა, ბიჭო!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ეს ამბავი მაგ უკლონისტის საქებრად კი არ მოგიყევით. აქ მთავარი სხვა რამეა! ( ნოშრევანი დაძაბული შესცქერის-- ელოდება შეიტყოს, თუ რა არის მთავარი, აბესალომი კი წიგნების კარადას

მიუბრუნდება.) მენშევიკური პროპაგანდა დაგიხვავებიათ. არადა, თქვენმა მატარებელმა  რა ხანია ჩაიარა!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (მოუთმენლად).  მერე?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ხომ შეიძლება, ამ სიბინძურემ მეც მომწამლოს? არა, ნათესავი რომ არ იყოთ, თქვენთან სტუმრობა, საშიშია!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. სოფელში რომ ჩაიყვანა, მერე რაო?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (გაკვირვებული მიაცქერდება). სოფელში ვინ ჩაიყვანაო?

ნ ო შ რ  ე ვ ა ნ ი. სერიოჟამ  დედაჩემი  და...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აი, ხომ ხედავთ-- ამ  ბინძურმა წიგნებმა უკვე ამირიეს გონება!  თქვენი ეზოს ჭიშკართან მიიყვანა, ეგ თქვენი სერიოჟა დედათქვენს ხელზე ბურჟუაზიულად  ემთხვია და უთხრა:  ,, ნამეტანი გამიჭირდა ციხიდან თქვენი გამოხსნა, ხვალ რომ რამე მოხდეს, კიდევ უფრო გამიჭირდება, ერთ კვირაში უცხოეთის პასპორტებს მოგიტანთ და წადით საფრანგეთში, ნოშრესთან. თქვენც მოისვენებთ და მეც!“

ნ ო შ რ ე ვ ა ნ  ი.  დაიჭერდა, აბა, რას იზამდა-- მეჩექმის შვილი  კაცობას ვის აპატიებს!

ა ბ ე ს ა ლ ო  მ ი.  ნუ ჩქარობთ, ბატონო ნოშრევან, მთავარი  არ მითქვამს. მთავარი დედათქვენია და არა ის უკლონისტი! დედათქვენმა ქავთარაძეს მიუგო: მე ჩემს ეზო-კარში ვარ, არც არაფერს  გიშავებთ და არც რაიმეს გთხოვთ--თავს ა, ამ ხელებით ვირჩენ, არსად  წამსვლელი არ ვარ--ჩემი ნოშრე რომ დაბრუნდება, სახლ-კარი ხელუხლებელი უნდა დავახვედროო.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (უღონოდ დაეშვება სკამზე).  მთავრობის თავმჯდომარე ვიყავი...საქართველოში სურსათი ჭირდა... გაქრა... ხალხს ლუკმა-პური არ ჰქონდა... შიმშილობდა...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (აწყვეტინებს).  ა,  ესეც ჩვენ ვართ? თავად აღიარებთ, რომ ქვეყანა გააპარტახეთ, დაამშიეთ,  აჯანყდებოდა  ხალხი, აბა, რა!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აბესალომს ამ მოსაზრების გამო საყვედურით უმზერს). ჩემს შვილს, შვილიშვილებს არ მოშივდეთო,  დედაჩემი ყოველ კვირას

სოფლიდან სურსათ-სანოვაგით ჩამოდიოდა, სად გავამხილო, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს რომ ვარჩენო...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სურსათ-სანოვაგის რა მოგახსენოთ, მაგრამ მცირე ძღვენი მეც გამოვიყოლე.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (შეშფოთებული). არა, არა, რას ამბობთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩვენი სოფლის მოსავალია, უსათუოდ გეამებათ.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. არა-მეთქი, გთხოვთ, უკან წაიღოთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩვენი სოფლისაა, ბატონო, რაფერ დავიჯერო, არ მოგენატრათ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. კი, როგორ არა, მაგრამ არა, არ იქნება, ნუ ხსნით ჩანთას, გთხოვთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი ( ჩანთას ხსნის, ხელს პატარა შუშა ამოჰყვება, სასწრაფოდ ჯიბეში ჩაიდებს, ნოშრევანს გახედავს, შუშა ხომ არ შეამჩნიაო, ნოშრევანს არაფერი შეუმჩნევია). ეს ,,ადესის" ჩურჩხელაა, ეს კიდო, ჩვენს სოფელში მოწეული სიმინდის ღერღილი და ფქვილი, მეტისმეტად გემრიელი მოსავალი იცის ჩვენში, მეტისმეტად! ა, ამ ფქვილით მჭადის ცხობისას, სახლში იმნაირი სუნი დატრიალდება, გაგაბრუებს...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. კი, ბატონო, შემობრძანდით, დაბრძანდით, ვიმუსაიფოთ, მარა, ეგ ნობათი, არა, არა, გთხოვთ, არა!..

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რავა, ჩვენი სოფლის ყველზე იტყვით უარს?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ძალიან კარგია, სანატრელიც, მაგრამ ბოლშევიკის ძღვენს ვერ მივიღებ,

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თქვენ გგონიათ, ცეკა იჯდა და ფიქრობდა, ჩვენს მთავარ მტერს, რა მივართვათ, რით ვაამოთო? არა, ბატონო, სულაც არ არი საქმე მასე--ნათესავ კაცს მე მოვართვი ძღვენი. ა, ეს კიდო ღომის სულგუნია, აგერ, ,,ადესის" ფელამუში, უკეთესი ფერი ჰქონდა, მარა, რამდენჯერ შემოგითვალეთ, ნახვა მინდა-მეთქი, ვერ ვეღირსე... მთელი სამი კვირაა აქა ვარ--ფერი იცვალა, გემო კი

შერჩებოდა!.. (ჩანთიდან პატარა ტიკს ამოიღებს, ნოშრევანს ახედავს, რას იტყვისო).

ნ ო  შ რ ე ვ ა ნ ი (ტიკს მზერაგაბრწყინებული გამოსტაცებს ხელიდან, ათვალიერებს). მამაჩემის ტიკი! ეს საიდან, როგორ, რანაირად! (მკერდზე მიიკრავს.) როგორ გამახარეთ, ამნაირი სიხარული კაი ხანია არ მღირსებია!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  ალადასტური თქვენს ტიკში ჩავასხი და...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (ტიკს ეალერსება). ბავშვობაში  ჩემი ინიციალები ამოვშანთე ზედ ( დაეძებს.)  აგერ!  (ხელს გადაუსმევს.) ორი რამ მქონდა სანატრელი:  ბოლშევიზმის დამხობა, რაც იმ  მეჩექმის შვილს--თქვენს ბელადს, კრემლში რომ გიზით, სანაგვეში მოისვრის  და  მეორე: ჩვენი სოფლის ფქვილით გამომცხვარი მჭადის ჩვენებურ ყველთან ერთად ჭამა და მამაჩემის ტიკიდან ერთი ყლუპი ალადასტურის მიყოლება, მეორე ნატვრა მისრულდება, როგორც ჩანს, პირველის დროც მალე დადგება!

ა ბე ს ა ლ ო მ ი. აჰ, მაგ ნატვრას შეეშვით-- შიმშილით ტყვილად მოიკლავთ თავს!,

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რატომ, რატომ! ერთი ხომ მიხდება აგერ,  მამაჩემის ნაქონი ტიკით,  არც მეორეა შორს!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, მთავარი ჯანმრთელობაა!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ( აბესალომს მიაცქერდება). მჭადი თვითონ გამოვაცხვე, ჭყინტი ყველიც მაქვს, არ არი ჩვენი სოფლისა, მაგრამ ... კვარაცხელიას ამოყვანილია, გეცოდინება, ეგენი  იქ, სამეგრელოში, მეკამბეჩეები იყვნენ. აქ მაგათი ყველითა და მაწვნით, გვიდგას სული! ის-ის იყო საუზმე უნდა დამეწყო და თქვენც მოხვედით, ხომ არ... ერთად ხომ არ გვესაუზმა?..

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დიდი სიამოვნებით, მადლობთ!

ნ ო შ რ ე ვა ნ ი. აბა,  აქეთ მობრძანდით! ( სამზარეულოში გადიან.)  ჩვენი გოგო-- ანჟელა აგვიანებს, ასეთი რამ არასოდეს უქნია... და თავად მოვემსახურე თავს, რა მექნა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ანჟელა, ანჟელა! ანჟელა კარგი გოგოა, მას არ უნდა ქებაო, სამსახურში აგვიანებს, ფარსაგი ამბავი ხდებაო...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ანჟელას იცნობთ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აბა, საიდან! უბრალოდ პოპულარული სახელია, აქ-- ანჟელა, რუსეთში-- ანგელინა, სომხეთში --ანჟელიკ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ძალიან კარგი გოგოა--წყნარი, გამრჯე, ამტანი...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ყოჩაღ, ანჟელა, დახასიათებაც ასეთი უნდა!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ცეკას პასუხისმგებელი ბოლშევიკის საკადრისი საუზმე არ მაქვს, მაგრამ ... ყველი, ცხელი მჭადი... თუ არ გაცივდა...(მჭადს თითს დაადებს.) არა, კიდევ თბილია!.. ერბო-კვერცხი (გადაუღებს.) ა, ასე გავიყოთ!

*ი ლ უ კ მ ე ბ ი ა ნ.*

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რას ამბობთ, მეფური საუზმეა! (ნაძალადევად ჭამს, აშკარაა, რომ არ სიამოვნებს.) ჩემთვის მით უმეტეს--ფურჩხოლიაზე ვარ გაზრდილი!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ეგ კიდევ რაღაა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თბილ რძეში მჭადის ნატეხებს ჩავყრიდით, ეს იყო ჩვენი საუზმე, ხანდახან-- სადილიც.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ზოგჯერ ცივ, გუშინდელ ღომსაც! ვიცი მე ეგ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მართალი ხართ, ღომის ქერქსაც, აი, ქვაბს რომ მოედება. თქვენი ქალბატონი? ვერ ვხედავ, ხომ კარგად არის?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. პარიზს წავიდა...პატარა შვილიშვილი უნდა ჩამოიყვანოს, ეგერ იმ ოთახს იმისთვის ვამზადებთ, კანტორამ ერთი უჟმური ხელოსანი გამოგვიგზავნა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (შეშფოთებული). ეგ როგორ... აქ კიდევ არის ვინმე ?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ერთი უჟმური ფრანგი ხელოსანია. ისე იბღვირება, თითქოს რამე დამეშავებინოს მისთვის.

ა ბ ე ს ა  ლ ო მ ი.  ფრანგი?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  მაგნაირი  უჟმური და უტყვი ფრანგი არ შემხვედრია, დავუძახებდი,  მოვიწვევდი საუზმეზე, მარა, ჩვენ  შინაურული მუსაიფი გვინდა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  არა, არა, რად გინდათ...თუმცა, ნება თქვენია...ალადასტური კი მომქონდა, მაგრამ იქნება,  თუთის არაყი მოენატრა-მეთქი, თუთის არაყს აქებენ ძალიან...(შემოსასვლელში, ჩანთისაკენ მიემართება, ჩანთიდან ლიტრიანს ამოიღებს.) მეტისმეტად კარგია ჯანმრთელობისთვის, თუ საწინააღმდეგო არ გექნებათ, თითო ჭიქა...დილის მადლი შეგვეწევა...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რა ხანია,  არ დამილევია...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სამი წელიწადი...  80  წლისა რომ გახდით, მაშინ გქონიათ დიდი პურ-მარილი და შეგისვამთ კიდეც.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. იმასაც ხომ ვერ მეტყვი, ღამე რამდენჯერ ვდგები, ან  რა ზომის ქვედა საცვალს ვიცმევ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (იცინის). თქვენ გგონიათ,  გითვალთვალებთ? თხუთმეტი--ოცი  წლის წინათ კი  იყო მასე , ახლა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გვაქვს!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ( ჭიქას გაუწვდის). აბა, ცოტა... (აბესალომი არაყს უსხამს.) დედა განსაკუთრებით  მიყვარს. ისეთი რამ მიამბე, სიამაყე მომგვარე, ნამდვილი ქართველი დედა... მოვიხსენიოთ! (უცებ გადაკრავს).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დიდი ქალბატონი იყო, დიდი,  არდავიწყება, ხსოვნა! (სვამს).

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (მჭადსა და ყველს გაუწვდის) . სანამ არ გაციებულა....

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ნაძალადევად ჭამს). როგორც ჩანს, აქაც კარგი სიმინდი იცის.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. დალოცვილი მიწა აქვთ, დალოცვილი! ..

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ჭიქებს შეავსებს). თუ ნებას მომცემთ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  კი, ბატონო!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მე მინდა, საბჭოთა საქართველოს სადღეგრძელო შემო...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აწყვეტინებს). საბჭოთა საქართველო კი არა, საბრალო საქართველო!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ღიმილით). ბატონო ნოშრევან,  ერთი მითხარით, დღევანდელი საქართველო უფრო საბრალოა, თუ ის,  რომელსაც მენშევიკები მართავდით? დღეს  გაბრწყინებული საქართველო ძლიერი, ხელხვავიანი ქვეყანაა, ადამიანები ხარობენ, სიმღერით შრომობენ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. მაგ სიმღერის გეშინოდეთ, ეგ სიმღერა  შეკრებს, გააგულოვნებს  შიშის მარწუხებში მოქცეულ ქართველებს. ქართველობის სულთა შეკრებას გაუმარჯოს! (სვამს).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (იცინის). საბჭოთა საქართველოს გაუმარჯოს! (სვამს).

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (ერთხანს უხმოდ შესცქერის აბესალომს). იმ დღეს რა დამავიწყებს,  სამშობლოდან დევნილმა ჩემმა კარლომ, კარლო ჩხეიძემ რომ  ვენა გადაიჭრა... დიდი კაცი იყო, როცა  კარლო რუსეთის დუმის ტრიბუნაზე შედგებოდა, დეპუტატები ტრიბუნასთან მორბოდნენ, რომ მისი არცერთი სიტყვა არ გამოპარვოდათ ...ხუთი წელიც ვერ გაუძლო უსამშობლოობას -- სასიცოცხლო ძარღვი  გადაიჭრა.  მეხვეწებოდა, ფუთში წამიყვანე, ის მიწა, ჩემი სამეზობლო,  სიცოცხლეს ლამაზად დამამთავრებინებსო,  სამშობლოს ხმები ენატრებოდა...

*აბესალომი სევდიან ქართულ სიმღერას წამოიწყებს. ნოშრევანი ერთხანს  უხმოდ  შესცქერის, მერე  სიმღერაში აჰყვება...*

*საბავშვო ოთახიდან კვლავ მღებავი გამოჩნდება. აბესალომსა და ნოშრევანს ირონიული ღიმილით შესცქერის.*

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თქვენზე მეუბნებოდნენ,  უჟმური, მიუკარებელი კაცია, არავის ანგარიშს არ უწევსო...  საამო კაცი ყოფილხართ...

ნ ო შ  რ ე ვ ა ნ ი. მაგას ეროვნულ-დემოკრატები გაიძახიან: კედია, გაბაშვილი, ამირეჯიბი... ჩვენი კაცი  ძალას რომ იგრძნობს, მოძმეს დაეძგერება. თუ ეშინია, გიყვარდეს, არი გატრუნული...ერთი ეს

მითხარი... თბილისში პანღური რომ ამოჭკრეს, მერე საქართველოში აღარც ჩამოსულა, ხომ?

ა ბ ეს ა ლ ო მ ი. ვინ ? ვიზე მეკითხებით?...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. აი, გორელი მეჩექმის ყაჩაღ შვილზე, მოსკოვში, კრემლში რომ გიზით--საქართველოს დამაქცევარზე.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ეს რა მესმის! თქვენ, ასეთ დახვეწილ და კეთილშობილ ქართველ პოლიტიკოსს, ასეთი რამ ... სანდო კაცსაც რომ ეთქვა, ვერ დავიჯერებდი! ხომ ნახეთ, ამ ქვეყნის--საფრანგეთის-- პირველი პირი, როგორი პატივისცემით ექცევა! დე გოლი მოსკოვში, კრემლში ეახლა ჩვენს დიდ ბელადს. რატომ? თუ მაგ გორელი მეჩექმის შვილის, როგორც სამწუხაროდ, თქვენ ბრძანეთ, კეთილი ნება არ იქნება, ნაბიჯს ვერ წადგამს წინ და ვერც საფრანგეთის პრეზიდენტი გახდება (*სულ სხვა ინტონაციით, რომელიც რადიკალურად განსხვავდება იმ მეგობრული ინტონაციისაგან, აქამდე რომ გვესმოდა.)* თქვენ ალბათ, გსმენიათ, დე გოლი რას დაპირდა, ჩვენს დიდ ბელადს: განძი, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინათ, საქართველოდან გამოიტაცეთ, ქართველ ხალხს წაართვით...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აწყვეტინებს). ეგ ბოლშევიკური პროპაგანდაა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ბატონო ნოშრევან, საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხის მიერ შექმნილი საგანძური--ხელოვნების დიდებული ნიმუშები: ჯვრები, ხატები, ოქრო-ვერცხლით შემკული სიწმინდენი, ნახატები გამოიტაცეთ. ეს ყველაფერი ხომ ქართველ ხალხს ეკუთვნოდა და არა საქართველოს მთავრობას!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ჩვენ ყველაფერი ეს ქართველ ხალხს გადავურჩინეთ-- მოდიოდა მშიერი, შიშველ-ტიტველი ბოგანო მასა, ყველაფერს გაყიდდა, რომ მუცელი ამოეყორა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩვენი ხელისუფლება ხალხის მსახურია და ხალხს არაფერს წაართმევდა.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. მთავარი--თავისუფლება წაართვა და ყაჩაღობას დაერიდებოდნენ ? შემატყობინეს: თქვენ აქ იმისთვის გამოგგზავნეს, რომ

დე გოლისა და თქვენი ბელადის შეთანხმება აღასრულოთ და ჩვენს მიერ გადარჩენილი განძი სამშობლოში დააბრუნოთ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დიახ, მესამე კვირაა აქა ვარ... განძი აღვწერეთ, თბილისში შედგენილ ოქმს შევადარეთ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. მერე? განძს  აკლია რამე?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (უჭირს აღიარება). არა.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. მეტი არაფერი?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დიახ, ზოგიერთი რამ  მიმატებულიც არის... რამდენიმე ნივთი.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ასე რომ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ასე რომ პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი პატიოსნად უვლიდა განძს. ჩვენ მის  ერთგულებას, პატიოსნებას სათანადოდ დავაფასებთ.

ნ ო შ  რ  ე ვ ა ნ ი. ამხანაგო ბოლშევიკო, ჩვენ ეგ განძი დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების საკუთრებად გამოვაცხადეთ, ექვთიმე თაყაიშვილს კი საქართველოს მუზეუმების გამგის პოსტი ეჭირა და განძის ზედამხედველობა მისი მოვალეობა იყო. განძი ჩვენ დავიცავით, ა მთავრობის,  დამფუძნებელი კრების დევნილ წევრებს უჭირდათ, შიმშილობდნენ კიდეც, ერთი ნივთიც რომ გაეყიდათ, უცხოობაში მძიმე ცხოვრების ტვირთს შეიმსუბუქებდნენ, მაგრამ ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი ( სარკასტული ღიმილით). დაბრუნების იმედი გქონდათ და გეწადათ ზარ-ზეიმით ჩამოგეტანათ.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი  (აბესალომს საყვედურით მიაცქერდება. პაუზა). ახლა კი გინდათ ხალხს ჭეშმარიტება დაუმალოთ--განძის გადარჩენა ერთი წესიერი ქართველი მეცნიერის დამსახურებად გამოაცხადოთ.  განძი გადაარჩინა მთელმა მთავრობამ, მენშევიკურმა ხელისუფლებამ. თაყაიშვილი კი ხელისუფლების გადაწყვეტილების წესიერი, პატიოსანი შემსრულებელი გახლავთ. მას თავისი მიაგეთ, მაგრამ მენშევიკური

მთავრობის  მამულიშვილობას, ერთგულებას, ჭირის ატანის უნარს,  ნუ უკუაგდებთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ  ი (ხმაში სიცივე, სიმკაცრე ეპარება და სულ სხვაგვარი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს). ხვალ რომ ბრალდება წამოგიყენონ: მენშევიკებმა--საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ, სახელმწიფო ხაზინა გაძარცვა, უცხოეთში გაქცეულმა ხალხის ქონება თან წაიღოო, რას ბრძანებდით?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. არაფერს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სულ არაფერს?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  სიტყვასაც არ დავძრავ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თავს რატომ არ გაიმართლებთ?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ბოლშევიკებს ისე სწადიათ, მენშევიკური ხელისუფლება ხალხს არამზადებად, მოღალატეებად წარმოუდგინონ... ბოლშევიკთა ამგვარი  განსჯა მოსახლეობას  არწმუნებს, რომ ეს იყო პატიოსანი, სამშობლოს მოყვარული და  მსახური მთავრობა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაშ,  სამშობლოს მოყვარული და მსახური მთავრობა, და რაც მთავარია, პატიოსანი?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  სწორედ ასეა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი ( მძაფრად) რა იყო იმ 112 ყუთში? რა იყო იმ ყუთებში, რომლებიც ბათუმიდან განძთან ერთად გაიტანეთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (პაუზის შემდეგ, მშრალად). მთავრობის კუთვნილი სახაზინო ქონება.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  რაღაც არ გამოდის: თუ ქონება სახაზინო იყო და ვიცით რომ სწორედ ასე იყო, მთავრობის კუთვნილი როგორ იყო? ხაზინა როდის აქეთ გახდა მთავრობისა!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ  ი.  მას შემდეგ, რაც  ბოლშევიკებმა  ქართველი ხალხის მიერ არჩეულ დამფუძნებელ კრებას სამშობლოში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება  წაართვით!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. და ბოლშევიკებმა, რუსეთმა შემოგითვალეს წადით  და სახაზინო-- ხალხის, მოსახლეობის  ქონება, წაიღეთო?

ნ ო შ  რ ე ვ ა ნ ი. მთავრობას მუშაობა არ შეუწყვეტია. ემიგრაციაშიც შრომობდა-- იბრძოდა  ბოლშევიკი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  ქართველი ხალხის წინააღმდეგ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  ბოლშევიკებმა გვაიძულეს მთავრობას დევნილობაში ემუშავა--ებრძოლა საქართველოს დეოკუპაციისათვის. ამას კი ფინანსები სჭირდებოდა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. 112 ყუთი ოქრო-ვერცხლი, ოქროს ზოდები, მონეტები, ნოკოლოზის დროინდელი ოქროს თუმნიანები!  მაგ ოქრო-ვერცხლით ბეჭდავდით ანტიქართულ ლიტერატურას.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ანტისაბჭოთა ლიტერატურას...

ა ბ ეს ა ლ ო მ ი. საქართველოში არალეგალურად შემოგქონდათ ლიტერატურა, ესე იგი  ამზადებდით სახელმწიფო გადატრიალებას. ეს კიდევ სხვა დანაშაულია. საქვეყნოდაა ცნობილი და თქვენც ბრძანეთ, რომ მენშევიკების ხელისუფლების წლებში საქართველო შიმშილობდა.

 ნ ო შ რ ე ვ ა ნი. თითქმის ასე იყო.

ა ბ ე ს ა ლ ო  მ ი. თქვენც კი, მთავრობის თავმჯდომარეს, დედა სოფლიდან ჩამოტანილი პროდუქტით გარჩენდათ (ნოშრევანი თანხმობის ნიშნად თავს უკრავს.)  არ მუშაობდა ფაბრიკები, ქარხნები, არ იყო ვაჭრობა--არ იქმნებოდა დოვლათი. ეს კი იმას ნიშნავს,  ხაზინა ცარიელი უნდა ყოფილიყო.  და უცებ...ამდენი ოქრო-ვერცხლი. საიდან? ( ნოშრევანი დუმს.) მოშიმშილე, გაძვალტყავებული საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში საიდან გაჩნდა ამოდენა ქონება? (დუმილი.) ჰა, ბატონო ნოშრევან?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (ყრუდ).  არ დავინტერესებულვარ.

*პ ა უ ზ ა*

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მშიერ-მწყურვალე ხალხის გოდება არაფრად ჩააგდეთ და მაგ ფულით 1924 წელს ანტიქართული აჯანყება  დააფინანსეთ.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აწყვეტინებს). ანტიბოლშევიკური აჯანყება. გვეწადა ივერთ მიწაზე ბოლშევიკების სახსენებელი არ ყოფილიყო.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. და ამ თქვენს გაუაზრებელ აჯანყებას, უამრავი ქართველის სიცოცხლე შესწირეთ.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ისინი თქვენ დახვრიტეთ, ვინც ტყვიას გადაურჩა, გადაასახ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი ( აწყვეტინებს). ყოველი სახელმწიფო სჯის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას. ისინი სამშობლოს მოღალატეები იყვნენ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. საოკუპაციო ხელისუფლებას ქვეყნის საუკეთესო შვილები ებრძოდნენ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დავალებული მაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით გაუწყოთ: საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად მოითხოვს დააბრუნოთ 1921 წელს თქვენი მთავრობის მიერ ქართველი ხალხისადმი მოპარული სახაზინო ქონება. აი, აქ არის სია იმასა, რაც თქვენმა მთავრობამ საქართველოს მოპარა (ფურცელს გაუწვდის). ინებეთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (გაოცებული, აღშფოთებული). რაო?!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გიმეორებთ: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლება კატეგორიულად მოითხოვს, ქართველ საბჭოთა ხალხს დაუბრუნოთ 1921 წელს საქართველოდან მიტაცებული სახაზინო ქონება.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ( კარგა ხანს დაბეჯითებით შესცქერის აბესალომს). აი, თურმე, რისთვის გინდოდათ ჩემთან შეხვედრა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ასევე დავალებული მაქვს გაცნობოთ: თუ საბჭოთა საქართველოს სრულიად კანონიერი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება და სახელმწიფო უახლოესი ოთხი თვის განმავლობაში არ დაიბრუნებს კუთვნილ ქონებას, სარჩელი აღიძვრება საერთაშორისო სასამართლოში.

*ხანგრძლივი პაუზა*

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. გთხოვთ დამტოვოთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სულ ცოტა ხანში საბჭოთა ჩვენი დროშა რაიხსტაგზეც აფრიალდება და ალბათ, არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, რომ ხაზინის ქურდების გასამართლება არ გაგვიჭირდება.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. დამტოვეთ-მეთქი!

ა ბ ე ს ალ ო მ ი. გიმეორებთ: ოთხ თვეს დაგელოდებით. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, საერთაშორისო სასამართლოში შევა სარჩელი.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. საბოლოოდ დამარწმუნეთ, რომ არ შეიძლება ბოლშევიკის სახლში შემოშვება, ისე გამაცურეთ, სირცხვილი მწვავს. მიბრძანდით და მოტანილი ძღვენიც თან წაიღეთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ეს თქვენს მიერ გაძარცული სამშობლოს ძღვენია.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ წაიღეთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ძღვენი უკან არ მიაქვთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნი (ძღვენს ფანჯარაში მოისვრის). ქუჩის დანაგვიანებისათვის ჯარიმას მე გადავიხდი. (ტიკს შენიშნავს, ხელში აიღებს, შეყოვნდება, ფიქრობს გადააგდოს თუ არა, ონკანს მიუახლოვდება, ტიკს გახსნის, ღვინოს შიგ ჩაღვრის) თქვენი ყველაფერი საწამლავია! ამ ტიკს კი თქვენთან არა-რა კავშირი არა აქვს! ჩამოტანისთვის ოცფრანკიანი ფეშქეში იყოს! (ჯიბიდან ფულს ამოიღებს, მაგიდაზე დააგდებს).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სამშობლოს მზის სხივი, სურნელი ოჯახში მოგართვით, თქვენ კი შეურაცხყოფაც მაყენებთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ბოლშევიზმი აიტანს!

კოტე (შემოდის. საღებავით მოსვრილი კომბინიზონი აღარ აცვია-მორთული წასასვლელად გამზადებულა). ბოლშევიკი და მენშევიკი-- თქვენ ხომ ძმები ხართ! ვეღარ გაიყავით თქვენგან დანელებული საქართველო?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. მამები გვყავს სხვადასხვა. ჩვენი მამა კეთილშობილი ევროპიელი ინტელიგენტია, ამათი კი --ერთი პატარა ქართული ქალაქის ლოთი მეჩექმე! ( ახლაღა მოდის გონს, ფრიად გაკვირვებული.) კი მაგრამ... თქვენ ხომ ფრანგი ხართ, მოხვედით, როგორც ფრანგი მღებავი.

კ ო ტ ე. ვიყავი, ვარ და მარად ვიქნები ქართველი,

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (გაღიზიანებული). აი, კიდევ ერთი ხრიკი!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი ( აფორიაქებული). ვინ ხარ! (ნოშრევანს) ვინ არის ეს კაცი, ვინ დამახვედრეთ აქ!

კ ო ტ ე (აბესალომს გულგრილ მზერას შეავლებს). მე ის ქართველი ვარ, სამშობლო რომ არაფერზე არ გაუყიდნია, კოტე მექვაბიშვილი!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. მსმენია, მე ეგ სახელი--ეროვნულ-დემოკრატიული პარტია!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. საქართველოს ამდენი უგუნური მხსნელი რომ ჰყავდა, იმიტომ გავხდით ჩვენ საჭირო!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. აკი ხელოსანი ვარო!

კ ო ტ ე. იურისტი ვიყავი, მღებავი გავხდი. ოჯახს მიხედვა უნდა. როგორ არ მეწადა თქვენს ოჯახში შემოსვლა! ჩვენი ფირმის პატრონმა ამ ოთახის გამშვენიერების დაკვეთა რომ მომცა, ვეხვეწე, მაგ სახლში ნუ გამგზავნით, მაგ კაცის დანახვაც არ მწადია-მეთქი.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ძალიან დამავალებდი!

კ ო ტ ე . სხვა ხელოსანი ვერ გამოიძებნა. ყველა დაკავებულია, დღედაღამ შრომობენ--მას შემდეგ, რაც ფაშისტები გაყარეს და ფრანგები პარიზს უბრუნდებიან, ყველას განახლებულ ბინაში უნდა ცხოვრება.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ტაკ ტაკ, ინტერესნო!

კ ო ტ ე. თქვენს სიახლოვეს, თქვენს ჭერქვეშ ყოფნა არ შემიძლია! ,,ელდორადოდან“ კიდეც დამითხოვონ, აქ მუშაობას ვერ გავაგრძელებ, თქვენს ბინას არ დავამშვენებ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რატომ, რატომ?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. მიბრძანდით!

კ ო ტ ე . რახან შეგხვდით, რახან ეს უსიამოვნება მხვდა წილად, უნდა გითხრათ ის, რაზეც წლებია ვფიქრობ.

ნ ო შ რ ე ვ ნ ი. არ მაინტერესებს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. საინტერესოა. თქვას!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. წაიყვანეთ და გზაში იმუსაიფეთ, არ მოიწყენთ!

კ ო ტ ე. თქვენ ბოლშევიკებსუნდა უმღერდეთ--დღეც უნდა უმღერდეთ და ღამეც: თქვენი პარტიის პროგრამა ამათ შეასრულეს.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. „ელდორადოს“ კი არა, ღირსებას ჰკარგავ-- მეჭორავე, სიცრუის გამავრცელებელი, კაცად არ მოიხსენიება.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (გაოცებული). რაო, რა ბრძანეთ?

კ ო ტ ე . სწორედ რომ ასეა: თქვენ, ბოლშევიკებმა, ამათი პროგრამა-მაქსიმუმი შეასრულეთ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ნათქვამს რით დაადასტურებთ?

კ ო ტ ე . ფაქტებით, ლოგიკური ანალიზით: თქვენმა ბელადმა ჯუღაშვილმა ამათი ოცნება აღასრულა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (თვალმოჭუტული ერთხანს იჭვით შესცქერის) ჰო, სულ ამათი სიყვარულით უძგერს გული!

კ ო ტ ე. საქართველოს ისე მართავდნენ, ისე მოქმედებდნენ, თქვენს ხელში ჩავარდნილიყო. ხალხი რუსეთს ეხვეწებოდა, მოდი, ამ მთავრობისგან გვიხსენი, გვიშველეო.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ხალხი კი არა, (აბესალომზე მიუთითებს) რუსთა აგენტები--ქართველი ბოლშევიკები!

კ ო ტ ე. საქართველოში რომ დამპყრობელი შემოვიდა, მთავარსარდალი, ვისაც მტერი უნდა გაეყარა, გადააყენეთ. ქართველ ახალგაზრდობას გული ბრძოლის ველისაკენ მიუწევდა, თქვენ - მატარებლისაკენ -- ვაგონში რბილი ადგილი არ ამცდესო, ამით ხომ ბოლშევიკებს უთხარით,

მობრძანდით, ბატონებო, როგორც გენებოთ, ისე ტანჯეთ და აწამეთ ქართველი ხალხიო.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რუსებმა გააწითლეს აზერბეიჯანი, გააწითლეს სომხეთი, თუ საქართველოსაც არ იგდებდნენ ხელთ, ბაქოს გაწითლებას რა აზრი ჰქონდა--იქ ლულა ქებაბის საჭმელად არ იყვნენ მისული .

კ ო ტ ე (ირონიულად). უი, რას ამბობთ, ძალიან სერიოზული მიზეზი გქონიათ, რომ საქართველო რუსეთისათვის გეჩუქებინათ! აბა, რა, აფშერონის ნავთს ჯიბით ხომ არ გაიტანდნენ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ქართველი ახალგაზრდობა საომრად მიიწევდა. დიდი ძალით ვერ დავიკვეხნიდით, მაგრამ შემოსეულ მტერს ნამდვილად ვძლევდით. მერე? ამის მერე რა მოხდებოდა?

კ ო ტ ე. იქნებოდა დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. და სტალინად ქცეული ჯუღაშვილი დამარცხებას შეეგუებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობას შეარჩენდა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (აწყვეტინებს). ასეა, უნდა ზანზარებდეს, ჩვენი დიდი ბელადის, საბჭოეთის შიშით, ქვეყნიერება უნდა ზანზარებდეს!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აბესალომს აცქერდება, შეწყვეტილ მონოლოგს განაგრძობს). ეს ხომ საქართველოს ამოშთომის დასაწყისი იქნებოდა, ქართველი ხალხი გაწყდებოდა. თუ რუსეთი ამ ომში 50 ათას ჯარისკაცს დაკარგავდა, დანაკლისს ვერც იგრძნობდა. ქართველები კი თავს არ დაზოგავდნენ, მტერს შეაკვდებოდნენ--მთელ საქართველოს სასაფლაოდ ვაქცევდით, რად გვინდოდა ასეთი დემოკრატია, ვიღასთვის? (მცირე პაუზის შემდეგ.) სამშობლო არც მთებია, არც მდინარეები, არც ჩანჩქერები. სამშობლო ხალხია, ერი, რომელიც ამ მდინარეებს, ჩანჩქერებს, მთებს თავის სულს გადასცემს და თავისად აქცევს, ხალხი, მხოლოდ ხალხი...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაგ ხალხს ხომ თქვენი მთავრობა არ უყვარდა--არც არავინ იბრძოლებდა!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ქართველობას არცერთი ხელისუფლება არ უყვარს. ხომ არ დაგავიწყდათ, ნახევარი საქართველო, მეტიც, თამარ მეფეს განუდგა და გიორგი რუსს მიემხრო, ერეკლე მეფე კი აღა მაჰმად ხანს ისე შეატოვეს...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (აწყვეტინებს). ჯერ კიდევ როდის იწევდა ქართველი ხალხი რუსეთისაკენ! ამიტომაც უყვართ ჩვენი ხელისუფლება!

კ ო ტ ე (გულიანად იცინის). დედასაც ურჩევნია და მამასაც!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. კი არ უყვარხართ, ეშინიათ თქვენი!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შიში თავაშვებულობის მუხრუჭია, სად დაიწერა, შიში შეიქმსო სიყვარულს, ესეიგი საჭიროა, ჩვენში აუცილებელია!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. შიში დუმილს შობს, ამხანაგო ბოლშევიკო!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი ( აწყვეტინებს, შეუპოვრად). შიში შობს ნაყოფიერ შრომას, ერთგულებას, წესრიგს! დავით აღმაშენებლის ძლიერი საქართველო შიშმა შექმნა! (მზერაგაბრწყინებული.) თუ გინდათ, გქონდეთ ნამდვილი სახელმწიფო, შიში, შიში, თორემ თუ შიში არა აქვთ, მასხრად აგიგდებენ, გაბურთავებენ (ნოშრევანს მიაცქერდება.) საქმეს ისე მოგიქცევენ, მატარებლისკენ გარბოდე, აქაურობას ჩქარა გავეცალოო.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (ამოიოხრებს). ვაი, საქართველო, ვის ხელში ხარ!

კ ო ტ ე (ნოშრევანს). მენშევიკთა ერთ-ერთ კრებაზე თქვით თუ არა ,,წინააღმდეგი ვარ საქართველოს ყოველგვარი ავტონომიისა!“ არა მხოლოდ თქვით, მოითხოვეთ, ეს სიტყვები კრების ოქმში შეეტანათ. (დუმილი.) არ გათქვამთ, ტყუილია?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. თქვენთვის ილია დიდი მწერალია, ჩემთვის კი დიდი მემამულე და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის სამარის გამთხრელი.

კ ო ტ ე. თქვენი პარტიის ერთ-ერთმა თავკაცმა-- ირაკლი წერეთელმა განაცხადა თუ არა, ავტონომიის წინააღმდეგი ვარო.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ვიყავით წინააღმდეგი--არც არასოდეს დაგვიფარავს.

კ ო ტ ე. ნიკოლოზ მეორე რომ ტახტიდან გადადგა და გაჩნდა შანსი საქართველოს დამოუკიდებლობისა, თქვენმა თანამებრძოლმა ევგენი გეგეჭკორმა თბილისის ყაზარმაში სომეხი და რუსი ჯარისკაცები დაამშვიდა: ,,15 წელიწადია ვებრძვი მე ამ ბოროტებას ავტონომიას რომ უწოდებენ, გაძლევთ სიტყვას, შემდგომაც დაუცხრომლად ვებრძოლო!“ ეს სიტყვები ნიშნავდა თუ არა, ,,ნუ შეშინდებით, მარად რუსეთთან ერთად ვიქნებითო“

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ჩვენ ჩვენი გზა გვქონდა საქართველოს მომავლისა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ბატონო, ბოდიში, ამხანაგო... ფუი, ბატონო ამხანაგო, რუსეთის სახელმწიფოში პაწია ავტონომიაც დაუშვებლად მიგაჩნდათ და...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ილიას გზა...ავტონომია ჩამოგვაცილებდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, მუშათა და გლეხთა ბრძოლას მემამულეების, კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ა ბ ე ს ლ ო მ ი ( სახეგაბრწყინებული). გამოდის, თქვენ--ნოშრევან ჟორჟოლიანი, საქართველოს მომავალს რუსეთთან ერთად ხედავდით. ჩვენ--ბოლშევიკებს რას გვერჩით?

კ ო ტ ე. ამიტომაც გეუბნებით: ამათი პროგრამა თქვენ აღასრულეთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. სასაცილონი ხართ, ორივე სასაცილო ხართ--გავიწყდებათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენ გამოვაცხადეთ, სწორედ ჩვენ!

ა ბ ე ს ლ ო მ ი. რაღაც არ გამოდის: რუსეთის სახელმწიფოში პაწია ავტონომიაც კი მიუღებლად მიგაჩნდათ, ავტონომიის იდეის გამო ილია ჭავჭავაძეს სიცოცხლე გაუმწარეთ, ებრძოდით და ... სრული დამოუკიდებლობა--რუსეთისაგან სრული განდგომა, როგორ, რანაირად...

კ ო ტ ე . ვიყავით და კვლავაც ვართ სხვათა ნების შემსრულებელნი--დამოუკიდებლობა გერმანელებს რომ არ ეკარნახათ...

ნ ო შ რ ე  ვ ა ნ ი  (აწყვეტინებს). რამდენიც არ უნდა იყვიროთ, რამდენიც არ უნდა გვაქილიკოთ, ეროვნული სუვერენიტეტი ქვეყანას ჩვენ მოვუპოვეთ და (კოტეს)  არა თქვენ ( აბესალომს) თქვენ კი წაგვართვით!

კ ო ტ ე  (ნოშრევანს). თქვენის ლოცვა კურთხევით! ამისთვის დაამშიეთ ქართველი ხალხი, გზა გაუხსენით ყაჩაღობას,  ქურდობას. ქართველობა ისეთ დღეში ჩააგდეთ, სხვას ნატრულობდა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ეგ კი მართალი თქვით: ხალხი გვნატრულობდა, საქართველო გვეძახდა, გველოდა!

 კ ო ტ ე  (დამცინავი გრიმასა).  ი ი... სიზმრებში გხედავდათ!  ხალხი ამათ წასვლას  ნატრულობდა!  საქართველომ კარგად იცოდა, რა ზნეობის ხელისუფლება ჰყავდა--ილიას სისხლისმსმელ მემამულედ აცხადებდნენ და უკვე რამდენი წელიწადია ილიას მონაგარით ცხოვრობენ--ილიას დისწულმა კოტე აფხაზმა ეროვნულ საბჭოს, აი, ამათ, ილიას ბანკის დანატოვარი  26 მილიონი ოქროს მანეთი გადასცა. 26 მილიონი ნიკოლოზის ოქროს მანეთი! იმდროინდელი კურსით, ეს რვა მილიარდი ფრანგული ფრანკი გახლდათ.  და იცით, რამდენი მილიარდი  იყო, საფრანგეთის წლიური ბიუჯეტი?

ა ბ ე ს  ა ლ ო მ ი (შესძახებს). ილიას მონაგარი,  ილიას ოქრო-ვერცხლი გამოიტაცეთ, წაართვით ილიას საქართველოს!

კ ო ტ ე .  ამიტომ არ გეტყვით კარგად ბრძანდებოდეთ-თქო, იყავით ისე, როგორც საქართველოს მოექეცით! (გადის).

*აბესალომი და ნოშრევანი უხმოდ სხედან. აბესალომი ყურადღებით აცქერდება ნოშრევანს.*

*ა ბ ე ს ა ლ ო მ ი* ( მეგობრული,  შინაურული  ინტონაციით).  *ნოშრევან ბატონო,  ჩემო სისხლო და ხორცო, ქვეყნისთვის ამდენი რამ გაგიკეთებიათ და  ამ ასაკში მაინც ხომ უნდა იგრძნოთ  შვება. რა ხანია, ოთხმოცს გადააბიჯეთ , დროა,* სამშობლოსაკენ მიმავალი გზები  ეძებოთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  სადღაა ჩემი სამშობლო, აღარ არსებობს. დალეწეთ, გააცამტვერეთ--მტკვარში, რიონში, ჭოროხში, ტეხურში, ენგურში გადაჰყარეთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  აღარ არის თქვენი-- მენშევიკური საქართველო, თორემ ქვეყანა ათჯერ უკეთესია, ვიდრე იყო. ამანაც  გადააწყვეტინა  ექვთიმე თაყაიშვილს სამშობლოში დაბრუნება.

ნო შ რ ე ვ ა ნ ი (შეშფოთებული). რრრას აამბობთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გუშინ პროფესორმა ექვთიმე თაყაიშვილმა  საბჭოთა კავშირის საელჩოში  თხოვნა შემოიტანა-- საბჭოთა საქართველოში ბრუნდება ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მენშევიკური საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი თაყაიშვილი.

 ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (კარგა ხანს  დუმს). ეს.. . ეს... კი, მაგრამ... ეს... ეს... დაბრუნება შესაძლებელია?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ევგენი გეგეჭკორი--თქვენი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. როგორ, ისიც!?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  ჩვენთან ურთიერთობა სწადია... ეს მხოლოდ დასაწყისია...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  დაბრუნების დასაწყისი?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი . ვისაც გული სამშობლოსაკენ  მიუწევს...

ნ ო შ რ ე ვ ა  ნ ი. რაღაც...თუ  ცუდად არ გამიგებთ...გული ამიფრიალდა... თავი თუ არ მივდე...

ა ბ  ე ს ა ლ ო მ ი.  კი, ბატონო, მიბრძანდით, დაისვენეთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ( გასვლას აპირებს). ჰო, წავალ, აბა, კარგად...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  მიტაცებულზე იფიქრეთ, წერილობით მოთხოვნასაც მიიღებთ...ოფიციალურად გაცნობებთ...ეს საკითხი ახლა მაღალ დონეზე განიხილება...კარგად ბრძანდებოდეთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (ერთხანს უხმოდ შესცქერის აბესალომს). ექვთიმე, ექვთიმე... ყოველთვის სხვანაირი კაცი იყო... თუმცა, რა...ფესვები იქა აქვს... მისი ფესვები იქ არის, იმ მიწაში....

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თქვენი-- არა?

ნ ო შ რ ე ვ  ა ნ ი. მერე? მერე რა იქნება?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  ეგ როდის?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. აი, ექვთიმემ  დაბრუნება რომ ითხოვა, მერე? ამას რა მოჰყვება?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  თუ არ ვცდები, მეკითხებით, სამშობლოში დაბრუნება რომ ვითხოვო, ამას რა  მოჰყვებაო?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (მყისვე, დაუხანებლად შესძახებს). არა, რას ამბობთ, საბჭოთა კავშირი? არა, მე არაფერი მითხოვნია, არა, ეგ არ მიკითხავს. კარგად ბრძანდებოდეთ, თავი თუ არ მივდე...(საძინებლისაკენ მიემართება).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ააა...როგორც ჩანს,  ვერ გაგიგეთ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. არა, არა, როგორ გეკადრებათ!..

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ნება თქვენია!

*დუმილი. ნოშრევანი საძინებლის კართან შედგება, ფიქრს მოუცავს. აბესალომი ყურადღებით  აკვირდება.*

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  მაგრამ... დავუშვათ, ითხოვა ადამიანმა... დავუშვათ-მეთქი, აი, ხომ ითხოვა პროფესორმა...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კი, როგორ არა, გუშინ... გითხარით უკვე...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. დავუშვათ, ითხოვა კაცმა და ეს კაცი... პოლიტიკოსია.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თქვენ ალბათ, არტერიული წნევაც  გაწუხებთ.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რა მითხარით?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. წნევა თუ გაწუხებთ-მეთქი... აი, კეფაში ტკივილი...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ნუუ. . . კი, ზოგჯერ...ახლაც რაღაც... მე  გეკითხებით: პოლიტიკოსმა რომ ითხოვოს-მეთქი...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. პოლიტიკოსი რა, ადამიანი არ არის?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  და პოლიტიკოსის სურვილი რამეს ნიშნავს?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ბატონო ნოშრევან, ჩვენ ადამიანებს პროფესიის მიხედვით არ ვახარისხებთ... პოლიტიკოსიც ისეთივე ადამიანია...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ჰოდა, ითხოვა პოლიტიკოსმა, მერე?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. პოლიტიკოსმა, ხომ?..

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. დავუშვათ, თუ შესაძლებელია, იმანაც რომ ითხოვოს, რა მოხდება?

ა ბ ე ს ა ლ  ო მ ი.  ყოველი ადამიანი თავისუფალია, უფლება აქვს მოითხოვოს ის, რაც სწადია!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (შეუპოვრად, ლამის დამარცვლით, ასე ჰგონია, აბესალომმა ვერ გაიგო, რას ეკითხება). პოლიტიკოსმა  სამშობლოში დაბრუნება რომ  ითხოვოს-მეთქი...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მერე რა მოხდა, ითხოვოს...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ამას რა მოჰყვება?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა უნდა მოჰყვეს, არაფერი. ქართველმა?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რასაკვირველია...

ა ბ ე ს ალ ო მ ი. მენშევიკმა?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. სწორედ მენშევიკზე  გეკითხებით...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჰოო... აბა, რა გითხრათ...

ნ ო  შ რ ე ვ ა ნ ი. არა, თუ არ მივწექი, არ შეიძლება, უნდა წავიდე, ძალიან შემომიტია...(გასვლას აპირებს.)  როგორ მიბრუის თავი!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ამხანაგებს დავეკითხები... თქვენც მოისვენეთ, იმ მღებავმა გაგაცხარათ, ხვალ-ზეგ შემოიარეთ და ყველაფერს მოგახსენებთ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  სად?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. საელჩოში  შემოიარეთ!

ნ ო შ რ ე ვ  ა ნ ი (თითქოს ისიც კი შევამჩნიეთ, როგორ გააჟრჟოლა). საბჭოთა კავშირის საელჩოში? რას ამბობთ... არასოდეს!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (მობრუნდება). თქვენ  ხომ საშობლოში დაბრუნებაზე მელაპარაკებით?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  კი,  საქართველოში დაბრუნებაზე, მაგრამ... საბჭოთა კავშირის საელჩო...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  თუ სამშობლო გინდათ... იფიქრეთ, გადაწყვიტეთ... (პაუზა. ნოშრევანს ყურადღებით შესცქერის.) იქნებ, თქვენ ახლა ძალიან საჭირო პერსონა გახდეთ  საქართველოსთვის, დიდად გამოგვადგეთ..

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რაღა დროს ჩემი გამოდგომაა, რა ხნისა ვარ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. იმედი მაქვს, ქართველი კაცი ამ საიდუმლოს შემინახავს...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ( გაკვირვებული). საიდუმლოსაც  მანდობ?  ბოლშევიკთა საიდუმლოს...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ეს საიდუმლო ყოველ ქართველს ეხება, ბოლშევკსაც, ფედერალისტსაც...მენშევიკსაც... ჩვენს ბელადს გადაწყვეტილი აქვს, ომის დამთავრებისთანავე ოსმალეთს შეუტიოს.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (მზერაში სიხარულის ნაპერწკალმა გაუელვა) ოსმალეთს? ეს რატ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რატომაო, კითხულობთ? განა ეს საკითხავია? იმ ტერიტორეების გამო, რომელიც საქართველოს ადრე და მეოცე საუკუნეშიც, თქვენს დროს,  მისტაცა. შესაძლოა, თქვენ ძალიან გამოადგეთ ქვეყანას...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (ოთახში შემობრუნდება, ერთხანს მზერაგაბრწყინებული დგას). ხოო... ეგ კარგი ამბავი მითხარი... აბა, როდისღა, თუ ახლა არა! კარგია, კარგი! მაგას შეუძლია, ისეთ ვარსკვლავზეა დაბადებული, შეუძლია...რომ გადავწყვიტო...კი, უნდა გადავწყვიტო...დავუშვათ, გადავწყვიტე, დავუშვათ-მეთქი... მერე რა იქნება?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა უნდა იყოს, აქ თქვენი სურვილია მთავარი... სხვა რა...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი  (გატაცებით). დღეს, დღეს... დღეს უნდა გამთლიანდეს საქართველო... მაგას შეუძლია-- თქვენი ბელადი  მსოფლიოში ქუხს... ერთი ეს მითხარი: თუ გადავწყვიტე, უნდა გადავწყვიტო, უნდა დავადგე გზას... მოსკოვს ხომ არ მომიწევს ჩასვლა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ეგ თქვენი ნებაა. გააჩნია, რა მარშრუტს აირჩევთ. ჩვენ ირანის გავლით მივდივართ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. მაშ, გადაწყვეტილების მიღება და ეგ არის? სხვა არაფერი?  სამშობლო, ცხადია, მამული, საქართველოს გამთლიანება... ისტორიული და დღევანდელი საქართველოს ერთიანობა... მაგრამ... მერე? დავუშვათ, გადავწყვიტე. რა იქნება მერე?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ფიქრობს). დამაფიქრეთ... ჰო, შესაძლოა,  ალბათ...თქვენ მართალს ბრძანებთ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რას გულისხმობთ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ  ი.  კი, სავსებით სწორი ხართ... ექვთიმე თაყაიშვილი მეცნიერია, მკვლევარი, პროფესორი.  მენშევიკური საქართველოს დამფუძნებელი კრების  თავმჯდომარის მოადგილე კი იყო, მაგრამ...პოლიტიკური განცხადებები არ უკეთებია... ჩვენს ხელისუფლებაზე, დიდ ბელადზე ერთი სიტყვაც  არ დასცდენია, არც კარგი, არც--ცუდი. თქვენ კი... თქვენ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე იყავით... ხართ... ჩვენი პარტიის შეუდრეკელი მოწინააღმდეგე... საბჭოთა ხელისუფლება არაერთხელ გაგიკრავთ სამარცხვინო ბოძზე, ჩვენი დიდი ბელადის ნაწერებს უკირკიტებდით, შეცდომებს დაეძებდით...

ნ ო შ  რ ე ვ ა ნ ი. ეგ როდის იყო... მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ყველაფერი ერთ კართოტეკაშია მოქცეული, შენახული.

ნ ო შ რე ვ  ა ნ ი ( გულდაწყვეტილი). გამოდის რომ...

აბ ე ს ა ლ ო მ ი. მართალი გითხრათ, არ ვიცი... ვერაფერს ვიტყვი...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  ამხანაგებს დავეკითხებიო, რომ ამბობდით?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჰო, ეგ კარგი გამახსენეთ, ამხანაგებს...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  აბა, დაეკითხეთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  იქნება...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რა? იქნება რა?

აბ ე ს ა ლ ო მ ი. რაიმე დეკლარაცია რომ გაკეთდეს? უნდა გაჭრას...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რა დეკლარაცია?

ა ბე ს ა ლ ო მი  (ფიქრობს). არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  აბა, მითხარით, მაგ დეკლარაციაში რა უნდა ითქვას?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ვფიქრობ, ბატონო ნოშრევან, ამ საკითხით არასოდეს დავინტერესებულვარ, მაგრამ ამხანაგებს მოვეთათბირები, ხვალ, გინდაც ზეგ, საელჩოში რომ შემოიაროთ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. საბჭოთა კავშირის საელჩოში?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ასე აჯობებს--იქვე კანონმდებლობას გადავხედავდით, ყველაფერს დავაზუსტებდით.

ნ  ო შ რ ე ვ ა ნ ი (დუმს. მერე თავს გააქნევს. ხმადაბლა). არა, მე საბჭოთა კავშირის საელჩოში არ შევალ.  არასოდეს...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არ გინდათ, ნუ გინდათ!  (პაუზა) მაგრამ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. მაგრამ რა?

ა ბე ს ა ლ ო მ ი . დაფიქრებაა საჭირო...რა უნდა ითქვას დეკლარაციაში?..

ნო შ  რ ე ვ ა ნ ი.  ჰო.. . რა უნდა ითქვას, რა არის მთავარი!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი.  მთავარი, ახლავე შემიძლია გითხრათ... ალბათ,  უნდა აღიაროთ თქვენი--მენშევიკური პარტიის-- სრული გაკოტრება და უნდა გამოაცხადოთ, რომ სწყვეტთ საბჭოთა კავშირთან პოლიტიკურ ბრძოლას...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ჩემო კარგო, ჩემო  გრიგ ...

 ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აბესალომი ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ხნოვანი კაცი ვარ, ნუ დამძრახავ, გადამავიწყდა. ჩემო აბესალომ, ეგ ბრძოლა, რა ხანია დამთავრდა, ჩვენი პარტია დაუძლურდა, დაჩიავდა, ქართული ემიგრაცია ერთმანეთთან კინკლაობის მეტს არაფერს აკეთებს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სწორედ ამის დეკლარირებაა საჭირო... მენშევიკური პარტია გადაგვარდა, გაიხრწნა...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. მეორე?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მეორე: უნდა აღიაროთ საბჭოთა სისტემის ძლევამოსილება. ომი სადაცაა დამთავრდება... ფაშიზმსაც კი ვამარცხებთ.

ნ ო შ  რ ე ვ ა ნ ი. რასაკვირველია, ასეა. ამასწინათ ერთ-ერთ გამოსვლაში აღვნიშნე, რომ დღეს საბჭოთა კავშირი ძლევამოსილი სახელმწიფოა. მან კაცობრიობა  ფაშისტი კაციჭამიებისაგან იხსნა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ვიცი, წავიკითხე. რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობის საკითხი? ამაზეც ხომ უნდა ითქვას. უსათუოდ უნდა ითქვას.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ამერიკა შორსაა და  მცირე ერებს ვერა-რა დახმარებას ვერ გაუწევს. დიდი ბრიტანეთი კოლონიალური სახელმწიფოა--სხვა ერების დამთრგუნავი. საქართველოს, ქართველი ხალხის მომავალი მხოლოდ რუს ხალხთან ერთად იქნება სასიკეთო. თუ თავად რუსეთი არ იქცა იმპერიად.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აი, ხომ ხედავთ: იმ მღებავს რას ვერჩოდით---იმდენი რამ გვქონია, საერთო, ყველაფერი ძალიან იოლია.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. დამთავრდა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ამ დეკლარაციას განიხილავენ პარტიული ორგანიზაციები, განსაკუთრებით  საქართველოში, იმსჯელებენ...ხალხი წყვეტს ყველაფერს, მთავარი ხალხის აზრია...მალე  ჩამოხვალთ საბჭოთა საქართველოში... რამდენი სიამოვნება გელით... ბედნიერ ადამიანად იგრძნობთ თავს! (ჩაფიქრდება.) მაგრამ...ხალხი შეამჩნევს...კი, უსათუოდ შეამჩნევს და უკმაყოფილებასაც არ დამალავს...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ( ნერვიულად). რას, რა აკლია, რას შეამჩნევს ხალხი!..

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. იმას, რომ დეკლარაციაში ჩვენს ბელადზე არაფერია ნათქვამი... ხალხს უყვარს ჩვენი ბელადი... ამან შესაძლოა, ხელი შეგვიშალოს... ცალკე აბზაცი უნდა მიეძღვნას დიდ ბელადს.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (შეძრწუნებული).ჯუღაშვილ-სტალინს?!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დიახ, ბელადს. უნდა ითქვას, თუ რაოდენ ბრძნულად ხელმძღვანელობს საბჭოთა სახელმწიფოს... რა დიდი ჰუმანიზმითაა გამთბარი მისი მოღვაწეობა, როგორ გარდაქმნა საქართველო, ქართველი ხალხის ცხოვრება... ხალხი უმღერის ბელადს.

*ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი  დ უ მ ი ლ ი*

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. სამშობლო მთავარია, მაგრამ (მცირე პაუზა.) სიცოცხლის მიზნის ღალატის, სინდისზე უარის თქმის ფასი დაადეთ (დადუმდება.) მე რომ თქვენს ბელადზე ეს დავწერო, როგორ შემხვდებიან მის მიერ დახვრეტილი ქართველები... უსამშობლოობით სისხლისგან დაცლილი კარლო ჩხეიძე. . . მაგათ ყველას ხომ თქვენმა დიდმა ბელადმა წაუჭირა ყელში...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გირჩევთ უკუაგდოთ ეგ ფიქრი. დროის მდინარებას ჩაჰკიდეთ ხელი, ეს მიგიყვანთ სამშობლოში.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ვაღიარებ: თქვენი ბელადი ძალიან ძლიერია, იქნებ, გენიალურიც, მაგრამ... რა ვქნა. საქართველოს წინაშე ბოროტება ჩაიდინა!

*ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ნოშრევანისაკენ ისე გაექანება, იფიქრებთ, დაეტაკება და წააქცევს კიდეცო, მაგრამ მის ცხვირწინ შედგება). საქართველოს წინაშე ბოროტება ჩაიდინაო, ამბობ?*

*ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ( აბესალომის მკვეთრი მოძრაობით შეცბუნებულ). რა ხდება?*

*ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. უსამართლობა! დაუნახაობა! დაუნდობლობა! თუ ქართველი ხარ, უნდა ხედავდე და აფასებდე იმას, რაც ჩვენმა ბელადმა სამშობლოსათვის გააკეთა--მან საქართველოს იმაზე დიდი სამსახური გაუწია, ვიდრე დავით აღმაშენებელმა!*

*ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (იცინის). ეს დღემდე არ გამეგო, დავით აღმაშენებელსაც კი ადარებთ?*

*ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არცერთ ქართველ მეფეს, ისე არ აუმაღლებია საქართველოს, ქართველი ხალხის ღირსება, როგორც ჩვენმა ბელადმა!*

*ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ასე რამ დამაბრმავა, ან რამ დამაყრუა, რომ ვერც ვერაფერი დავინახე, ვერც ვერაფერი გავიგონე!*

*ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. საქართველო ქართველობას დაუბრუნა--მთელი ქვეყანა ქართველობისა გახადა! (ნოშრევანი ირონიულად იღიმის.) ქართული მიწის მადლით ვინ ტკბებოდა, მისი მონაგარით ვინ მდიდრდებოდა? საწარმოებს რუსები დაუფლებოდნენ, მარგანეცი ევროპელთა ხელში მოქცეულიყო, მიწები სომხებს შეესყიდათ. ქართველისა რა იყო? ჰაერი, წყალი და თამადობა. აღარ გახსოვთ, თბილისი ვის ქალაქად მიიჩნეოდა? თბილისის თავად ქართველი ვერ აგვერჩია, უცხონი დაპატრონებოდნენ დედაქალაქს. ქართველი ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, დიდის ვაივაგლახით გავიყვანეთ ქალაქისთავად! დანარჩენი ვინ იყო, აღარ გახსოვთ? მიპასუხეთ, ბატონო ნოშრევან, არ იყო ასე? (ნოშრევანი უხმოდ დგას.) ჩვენმა ბელადმა კი გლეხების, მუშების მყვლეფავ კაპიტალისტებს, მემამულეებს ყველაფერი წაართვა და საქართველო სახელმწიფოდ აქცია, ქვეყნის პატრონი კვლავ ქართველი კაცი გახდა.*

*ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ნაციონალიზაცია ჩვენ დავიწყეთ,...*

*ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (აწყვეტინებს). მერე? რა გააკეთეთ, რას მოაბით თავი? (პაუზა.) პასუხი უნდა გასცეთ კითხვას: ჩვენმა ბელადმა ბოროტება ჩაიდინა, თუ საქართველო ქართველ ხალხს დაუბრუნა? (დუმილი.) ამ კითხვას უთუოდ უნდა უპასუხოთ! (დუმილი.) ბოროტება ჩაიდინა? (დუმილი.) საქართველო ქართველობას დაუბრუნა?*

*ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი უკვე გითხარით, იქნებ, გენიალურიცაა, მაგრამ...*

*ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კითხვაზე პასუხი? ჩვენმა ბელადმა საქართველო დაუბრუნა თუ არა, თავის ხალხს?*

*ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. სხვებს იმისთვის წაართვა, რომ რუსებისათვის ჩაებარებინა.*

*ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ნოშრევანს მკაცრ მზერას მიაპყრობს) .და ეს არის თქვენი საბოლოო პასუხი?*

*ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ქართველი კაცი ამ კითხვას სხვაგვარად ვერც უპასუხებს.*

*ხანგრძლივი დუმილი. აბესალომი ნერვიულად მიმოდის. როგორც ჩანს, გადაწყვეტილებას მიიღებს.*

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სხვა გზას აღარ გვიტოვებთ: საფრანგეთს ოფიციალურად უნდა მივმართოთ საბჭოთა კავშირს გადმოსცეს იმ მთავრობის დამნაშავე მეთაურები, რომლებმაც გაძარცვეს სახელმწიფოს ხაზინა, ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას, რასაც ასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (ერთხანს დუმს). აბესალომ, სხვანაირად ხომ არ დგას აქ საკითხი: იქნება, თქვენ არც ხაზინა გაინტერესებთ, არც გადატრიალება და არც მას შემდეგ დახვრეტილი ხალხი...დავალებული გაქვთ, თქვენს ბელადს აამოთ... ჩემთან შეხვედრა იმისთვის გეწადათ, იმისთვის მოხვედით, თქვენს ბელადზე მათქმევინოთ, დამაწერინოთ, ის, რაც მის გულს აამებს. ამისთვის მოხვედით? ჰა, ასეა საქმე?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. უკვე გირჩიეთ, ნუ გაჯიუტდებით!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. თქვენი რჩევა რატომ უნდა მივიღო, რის გამო?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სამშობლოსათვის... თუ სამშობლო გინდათ, მიიღებთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. (დუმილი. დათრგუნვილი) მაგრამ ჩემი ცხოვრების მიზანს მაინც ვერ ვუღალატებ... თქვენი ბელადი ბოროტმოქმედია. ქართველი ხალხის თავისუფლება შეიწირა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (დაჟინებით მიაცქერდება ნოშრევანს) ორი რამ უნდა გითხრათ. პირველი: ქართველი ხალხის თავისუფლება კი არ შეიწირა, საქართველო სახელმწიფო გახადა, ქართული კულტურის განახლების,

განვითარების გზები მონახა. არასოდეს (ხაზგასმით) არასოდეს ქართული კულტურა არ ყოფილა ასე მხრეგაშლილი...

ნ ოშ რ ე ვ ა ნ ი (ირონიულად). თუ ახალი ვეფხისტყაოსანი შექმენით, გეცნობებინათ, გავიხარებდი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი ( გამჭოლი მზერა. პაუზის შემდეგ). და მეორე: თქვენი ასაკის კაცი პოლიტიკის კი არა, სამშობლოსაკენ უნდა იმზირებოდეს... მითუმეტეს დღეს, როცა გაჩნდა შანსი მისი გამთლიანებისა.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. თუ არ დავწერე?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (გრძელი პაუზა). საქართველოში ტუსაღად ჩამოგიყვანენ. დანაშაული ბევრი გაქვთ!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. შენ კი მწარედ მოგხვდება--პარტიული დავალება ვერ შეასრულე.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ის სჯობია, საკუთარ თავზე იფიქროთ, თქვენს მომავალზე . . . ნუ ჯიუტობთ ... გეძლევათ შანსი, საქართველოს ისე გამოადგეთ, ვინძლო, თქვენი მმართველობის შეცდომებიც კი დაავიწყოთ ხალხს... თუ ოსმალეთს ჩვენი მიწები გამოვსტაცეთ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. თქვენმა ბელადმა ფაშიზმი დაამარცხა, დღეს მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მჯერა, ოსმალეთსაც დააჩოქებს, ყველას მისი სახელი აკერია პირზე. ჩემი ქება-დიდება რას შემატებს, ვის ახსოვს, ერთი პატარა ქვეყნის მოხუცი პოლიტიკოსი!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (აწყვეტინებს). ნუ, ეგრე ნუ იტყვით... არ არის მასე!. . . თქვენ მისი სამშობლოს ხმა ხართ... დღევანდელ საქართველოში კიდევ ბევრი გიგდებთ ყურს...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. როგორც ჩანს, ისიც იცის, ქართველები როგორი გულით უმღერიან...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი გულწრფელად, სულით და გულით უმღერიან... .ახლა თქვენი ჯერია...

*ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი პ ა უ ზ ა*

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  არა, ვერა, არ შემიძლია! თუ მე თქვენი ბელადის სადიდებელს დავწერ,  ამით საქართველოს დავამცირებ, ერი დაჩაჩანაკდება...  ჩემი უარი კი ხალხს სიმტკიცეს შემატებს, რწმენას განუმტკიცებს--დააჯერებს, რომ შესაძლოა, ფლობდე, ბატონობდე, მაგრამ გამარჯვებული მაინც არ იყო (პაუზა.) მაგრამ ეს ხმები...ხმები...

ა ბ ე ს ა ლ ო მ  ი. სამშობლოს ხმებია,  მიჰყევით  მაგ ხმებს !

ნ ო შ რ ე ვ ნ ი. რა ფერისა ეს ხმები?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სამშობლოს ფერებია--ლაჟვარდოვანი ცის ფერები...

ნ ო  შ რ ე ვ ა ნ ი (ფიქრიანად). ვიცი მე ქართველობა--კარგად ვიცნობ: თქვენი ბელადი რომ  ვადიდო, არაფერს მეტყვიან, კრინტს არ დაძრავენ, მაგრამ საფლავში ჩამაფურთხებენ...მართალნიც იქნებიან.  (თავს ასწევს.) არა, ვერ ვიზამ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სხვა გზას არ გვიტოვებთ, ტუსაღად უნდა ჩაგიყვანოთ საქართველოში.

*ხანგრძლივი დუმილი, რომლის განმავლობაშიც ნოშრევანს  სახეზე მწარე ღიმილი ეფინება.*

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ჩამიყვანეთ. მერე? მერე რა იქნება?  იქვე დამხვრეტენ? (ყურებზე ხელებს მიიდებს). ხმები, ხმები, ხმები, მომასვენეთ, მომასვენეთ, სამშობლოს  ხმებო!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კი, სასამართლო პროცესი უსათუოდ ჩატარდება...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. სასამართლოს ხალხიც ესწრება? მომეცემა საშუალება, ჩემი სიმართლე ვამტკიცო ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მძიმედ). მხოლოდ პარტიული აქტივი.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი.  ხმები, ხმები, ხმები!  როგორ მოძლიერდნენ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. (დუმილი). ცუდია, ძალიან ცუდი!  რა გაეწყობა!  ჩაით ხომ არ გამიმასპინძლდებოდით?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. (მძიმედ წამოდგება). დამავიწყდა, რა ხანია, დუღს! (გაზქურასთან მიდის, ჩაის დაასხამს, ფინჯანს აბესალომს დაუდგამს).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დიდი მადლობა. თქვენ? თქვენ არ მიირთმევთ?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ჩაი მიყვარს, მამშვიდებს. (ჩაის დაისხამს) ტუსაღად ჩამიყვანეთ, კი ბატონო, ასე იქნება თუ ისე, მშობლიურ მიწას აღარ ავცდები!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ერთხანს დაჟინებით შესცქერის ნოშრევანს). ჰო, მაგრამ...მხოლოდ დატუსაღება რომ იყვეს, რა უშავს... მოხდება უფრო მნიშვნელოვანი რამ... ათასგზის უარესი ...

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი . სამშობლოში ტუსაღად დაბრუნებაზე უარესი რა უნდა იყოს! *დუმილი*

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი . ის თუ გსმენიათ, ხალხი თქვენზე ლექსებს, სიმღერებს რომ თხზავს?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. რას ამბობთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მოწყენილი დიდი ნოშრე

პარახოდზე ადიოდა,

საქართველოს დასახსნელად.

ევროპაში მიდიოდა!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (გულაჩუყებული). ვერ დავიხსენი, ვერ გამოვსტაცე გველეშაპს, ქვეყნიერება დაყრუვდა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შეთვრებიან თუ არა, ამ სიმღერას წამოიწყებენ, ხმადაბლა, მოგუდულად მღერიან.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ეს ხომ იმას ნიშნავს, ხალხს თქვენი არ სჯერა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თქვენი იმათ სჯერა, ვისაც მითები უყვარს--შეთხზული, გამოგონილი სინამდვილე. რეალობას მითებით ცხოვრებას ამჯობინებენ. ჩვენ კი მოგვიწევს სიმართლე ვაუწყოთ: თქვენ დაამშიეთ ქართველი ერი, თუმცა, ხაზინა ოქრო-ვერცხლით გქონდათ გამოტენილი, ბრალს

დაგდებენ იმაში, რომ მოიპარეთ ხალხის ქონება--გაძარცვეთ ხაზინა. მაგ თქვენი უსუსური აჯანყებით, ხალხი სისხლის მორევში ჩაჰყარეთ.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ტყუილი, ტყუილი, ტყუილი!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დღეს საქართველოში პატივს გცემენ, თქვენზე მღერიან იმიტომ რომ სიმართლე არ იციან. სიმართლე გამომზეურდება და...(დუმილი) სასჯელს... სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ არა დიდ ნოშრეს, ერთ სახელგატეხილ, შარავანდედშემოცლილ ბებერ ბოროტმოქმედს.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. ვითომ აქამდე სულ კეთილად მიხსენიებდით--ქართველ ხალხს ჩემს ღირსებებზე, ერის წინაშე დამსახურებაზე ესაუბრებოდით! ( პაუზა.) სხვა გზაც არისო, რომ ამბობდით?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი. დღეს ხალხი გიმღერით, როგორც დიდ ნოშრეს, ხვალ ქურდად, ბოროტმოქმედად მოგიხსენიებენ.

ნ ო შ რ ე ვ ნ ი ( გაღიზიანებული). ეგ გავიგე, სხვა გზა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. უნდა ასწონ-დასწონოთ, გადაწყვიტოთ, რა გირჩევნიათ: წუთისოფელს გაეცალოთ დღეს, მოულოდნელად: წნევა, გული, უკმარისობა... ეს სოფელი დასტოვოთ, როგორც ხალხის საყვარელმა დიდმა ნოშრემ, თუ... (ჯიბიდან პატარა შუშას ამოიღებს, თავს მოხსნის.) თუ სამშობლოში მხილებულმა ბოროტმოქმედმა?

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (შუშას შესცქერის), ეს...ეს... ეს რა არის--თავის მოკვლას მკარნახობთ?! თავი მოვიკლა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ! მე რასაც გთავაზობთ, ვგონებ, გაგაგებინეთ.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი (აწყვეტინებს). არა! (პაუზა) არა, არა!

ა ბ ე ს ლ ო მ ი. ხაზინის სახელგატეხილ ქურდად გინდათ წუთისოფელს გაეცალოთ?

ნ ო შ რ ე ვ ნ ი. ხმები, ხმები, ხმები...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მე მხოლოდ თქვენი სახელისა და ღირსების გადასარჩენად.. . (შუშიდან ნოშრევანის ჩაის ჭიქაში ფხვნილს ჩაყრის.) მე სხვა რა შემიძლია, ბატონო ნოშრევან... თვითონ უნდა გადაწყვიტოთ... ჩაი მიირთვათ, თუ ბელადზე დაწეროთ და სამშობლოში დაბრუნდეთ. ჩემი წასვლის დროა... (რაღაცას დაეძებს, ტელეფონს დაინახავს.) თუ ნებას მომცემთ, დავრეკავ (ნოშრევანი თავს უხმოდ დაუქნევს. აბესალომი ნომერს აკრეფს.) საელჩოა, ხომ? ოო, სტეპან კირილოვიჩ, ალო, დიახ, მე გახლავართ... ნოშრევან ნიკიფორივიჩი ძალიან სასიამოვნო ადამიანი აღმოჩნდა... კი, კი, ბევრი დრო დამითმო... რატომ ამბობენ ამ კაცზე, მიუკარებელიაო... მართალი ხართ--პოლიტიკური ინტრიგაა ... დიდ ბელადზე საინტერესო მოსაზრებებს გამოსთქვამს... და რაც მთავარია, მაღალ შეფასებას აძლევს მის როლს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდაში... კი, კი, როგორ არა, დაწერს, თუმცა, გული აწუხებს--სუნთქვა უჭირს... თუ წნევამაც არ შეუშალა ხელი...ჰო, ძალიან მაღალი წნევა აქვს... საღამოს საელჩოში გამოგზავნის... ანგელინამ მომაკითხოს. ქვევით, სადარბაზოსთან დაველოდები--იქ სადაც დამტოვა. დროებით!

*ვიდრე აბესალომი ელჩს ესაუბრება, პროჟექტორი ნოშრევანის სახეს გამოჰკვეთს. დაჟინებით მისჩერებია ჩაის ჭიქას. შუქი ნელ-ნელა ქრება.*

ფარდა.